ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5243375

ნომერი: AR1787746

თარიღი : 12.11.2020

გაცემის თარიღი : 29.12.2020

გაცნობის თარიღი : 29.12.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარსელის ქუჩა, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ სანდუხაძე პ/ნ 01004005606
- ლიბანის 7, ბინა 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 12 ნოემბერს №AR1787746 განცხადებით მომართა ნოდარ სანდუხაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურის 2020 წლის 02 დეკემბრის №5210229 ბრძანებით, 2020 წლის 07 დეკემბრის №5216264 და 2020 წლის 18 დეკემბრის №5229916 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
წარმოდგენილი და საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა შევსებული, კერძოდ, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ავტოსადგომების სქემა და სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომის სქემა კვლავ ერთმანეთთან შეუსაბამოა.
წარმოდგენილ სქემაზე დატანილი ღია ავტოსადგომების კვეთს საპროექტო შენობა-ნაგებობას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, წარმოდგენილი ავტოსადგომების სქემაზე დატანილი ღია ავტოსადგომები კვეთს საპროექტო შენობა-ნაგებობას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებაში.
აქვე განგიმარტავთ, რომ იმ შემთხვევაში თუ გსურთ სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომების სქემისგან განსხვავებული სქემის შეთანხმება, საჭიროა, მოთხოვნა დააყენოთ არქიტექტურული პროექტის ცვლილებაზე (კორექტირება).
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.